სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტსა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს N 173/01-01 (2025 წლის 7 ოქტომბრის N 235/01-01 ბრძანება დამატების თაობაზე და ამ დამატებაში არსებული 2025 წლის 9 ოქტომბრის N 243/01-01 ბრძანება ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ, მათი გათვალისწინებით) ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის N 52/2025 და ამავე წლის 30 სექტემბრის N 58/2025 დადგენილებების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№ 6 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი "16" ოქტომბერი

2025 წ.

17.00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია №314

სხდომას ესწრებოდა კომისიის ექვსი წევრი:

1. ქეთევან ნადირაძე (თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი) კომისიის თავმჯდომარე;

2. სულხან კუპრაშვილი (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

3. ბეჟან ხორავა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

4. კახა კვაშილავა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

5. ნიკოლოზ მურღულია (საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

6. ლერი თავაძე (თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი) კომისიის მდივანი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების („ა“ კატეგორია – 2 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება; სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორების („ა“ კატეგორია – 3 საშტატო ერთეული, „გ“ კატეგორია – 1 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ქეთევან ნადირაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში ასოცირებული პროფესორების (კატეგორია „ა“) 2 საშტატო ერთეულზე შემოვიდა 2 განცხადება (ზვიად კვიციანი, მარინე ფუთურიძე); ამავე ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში ასოცირებული პროფესორების (კატეგორია „ა“) 3 საშტატო ერთეულზე შემოვიდა 4 განცხადება (ბონდო კუპატაძე, ქეთევან ქუთათელაძე, დიმიტრი შველიძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი), ხოლო ამავე

ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „გ“) 1 საშტატო ერთეულზე შემოვიდა 2 განცხადება (მიხეილ ბახტაძე, ნათია ფიფია).

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, 8 კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების („ა“ კატეგორია – 2 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტთა შეფასება შემდეგია:

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ზვიად კვიციანის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში“. შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ ზვიად კვიციანის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ყველა წევრმა. ზვიად კვიციანს აქვს საერთო პედაგოგიური სტაჟი – 40 წელი. შემოთავაზებული აქვს თხუთმეტი სასწავლო კურსი. აქედან თეთმეტში წარმოდგენილია საავტორო სილაბუსი. ყველა სილაბუსი შეესაბამება პროფილს და შეტანილია თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში. თსუ-ში მას აქვს მრავალი სალექციო კურსის წაკითხვის ხანგრძლივი გამოცდილება. გააჩნია დიდი რაოდენობით მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. მიღებული აქვს მონაწილეობა არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ

კონფერენციაში. შესაფასებლად წარმოდგენილი აქვს მონოგრაფია. მოცემულია სამეცნიერო კვლევების კონცეფცია. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში. აქვს სხვა სახის მნიშვნელოვანი აქტივობები, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა, რაც ხელს უწყობს თსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროცესის უკეთეს წარმართვას. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას, ასევე არქეოლოგიის კათედრის ხელმძღვანელის თანამდებობას. ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს. მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, დოქტორანტთა ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია სადოქტორო დისერტაციები. გასაუბრების ეტაპზე ზვიად კვიციინმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის არქეოლოგიურ ექსპედიციებზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს და იმ აღმოჩენებზე, რომელიც ბოლო დროს გაკეთდა. ყურადღება გაამახვილა სტუდენტ-არქეოლოგთა დასაქმებაზეც. ასევე, მისი მონაწილეობით მესტიაში სვანეთის მუზეუმში ინვენტარიზაციის ჩატარებაზე და სამეცნიერო სიახლეებზე, რაც მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერ-მუშაკთათვის, ასევე სტუდენტებისთვის. კომისიის წევრებმა მას დაუსვეს კითხვები და მოისმინეს პასუხები სტუდენტთა დასაქმების შესახებ, ბოლოდროინდელი სამეცნიერო აღმოჩენების შესახებ და ექსპედიციების შესახებ.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (6 ხმა) დაუჭირა მხარი ზვიად კვიციანის კანდიდატურას. კონკურსანტის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური

საქმიანობა, საერთაშორისო კონტაქტები, დოქტორანტებთან სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება არქეოლოგიას დაეხმარება ამავე სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად განხორციელებაში.

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **მარინე ფუთურიძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ მარინე ფუთურიძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ყველა წევრმა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. აქვს პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი. საერთო პედაგოგიური სტაჟი – 39 წელი. შემოთავაზებული აქვს რვა სასწავლო კურსი. ყველა მათგანში წარმოდგენილია საავტორო სილაბუსი. ყველა სილაბუსი შეესაბამება პროფილს და შეტანილია თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში. თსუ-ში აქვს მრავალი სალექციო კურსის წაკითხვის ხანგრძლივი გამოცდილება. გააჩნია დიდი რაოდენობით მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. მიღებული აქვს მონაწილეობა ბევრ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში. შესაფასებლად წარმოდგენილი აქვს ინგლისურენოვანი სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია ძველი ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიის მე-11 საერთაშორისო კონგრესის მასალებში. მოცემულია სამეცნიერო კვლევების კონცეფცია. აქვს სხვა სახის აქტივობები, რაც ხელს უწყობს თსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროცესის უკეთეს წარმართვას. ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს. რვავე სასწავლო კურსის

სილაბუსი ფორმითა და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, დოქტორანტთა ხელმძღვანელი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში. გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. მარინე ფუთურიძეს კითხვები დაუსვეს და პასუხები მიიღეს სტუდენტთა ჩართულობის შესახებ არქეოლოგიურ ექსპედიციებში, ასევე, მისი სამეცნიერო სტატიის შესახებ, რომელიც საკონკურსოდ აქვს წარმოდგენილი. კონკურსატმა ვრცლად ისაუბრა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ეხება მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურებს, აღნიშნა მისი წვლილი სტუდენტ-არქეოლოგთა ჩართულობის შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციებში, მათ შორის საზღვარგარეთ მიმდინარე არქეოლოგიურ ექსპედიციებშიც.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (6 ხმა) დაუჭირა მხარი მარინე ფუთურიძის კანდიდატურას. კონკურსანტის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური საქმიანობა, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა, საერთაშორისო კონტაქტები, დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება არქეოლოგიას დაეხმარება ამავე სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად განხორციელებაში.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორების („ა“ კატეგორია – 3 საშტატო

ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტთა შეფასება შემდეგია:

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ბონდო კუპატაძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ ბონდო კუპატაძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ყველა წევრმა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. აქვს პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი. საერთო პედაგოგიური სტაჟი – 26 წელი. აქვს სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის ხანგრძლივი გამოცდილება. შემოთავაზებული აქვს თორმეტი სასწავლო კურსი. თერთმეტ მათგანში წარმოდგენილია საავტორო სილაბუსი. ყველა სილაბუსი შეესაბამება პროფილს და შეტანილია თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში. თსუ-ში აქვს მრავალი სალექციო კურსის წაკითხვის ხანგრძლივი გამოცდილება. გააჩნია დიდი რაოდენობით მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. მიღებული აქვს მონაწილეობა არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში. თანამშრომლობს საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. შესაფასებლად წარმოდგენილი აქვს წიგნი, რომლის მნიშვნელოვანი მონაკვეთის ავტორიც ის გახლავთ. მოცემულია სამეცნიერო კვლევების კონცეფცია. აქვს სხვა სახის მნიშვნელოვანი აქტივობები, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა, რაც ხელს უწყობს თსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროცესის უკეთეს წარმართვას. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. არის არაერთი

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, დოქტორანტთა ხელმძღვანელი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში კარგად აქვს გამოკვეთილი სამეცნიერო მუშაობის თავისებურებები, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა, სახელმძღვანელოების მომზადება, სასწავლო პროგრამების განახლება და საკვლევი მიმართულებების გაფართოება. ხანგრძლივი აკადემიური გამოცდილების გათვალისწინებით, სამომავლოდ აქვს პოტენციალი თავისი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ასევე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. აქვს დიდი და ნაყოფიერი გამოცდილება გააგრძელოს სტუდენტებთან მუშაობა და ხელი შეუწყოს დოქტორანტებს მათ სამეცნიერო მუშაობის სწორი მიმართულებით წარმართვაში. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე დოქტორანტმა უკვე დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი. გასაუბრების ეტაპზე ბონდო კუპატაძემ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ უცხოეთის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობაზე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა საქართველოს ისტორიის კვლევაზე. კომისიის წევრებმა მას დაუსვეს კითხვები და მოისმინეს პასუხები საგრანტო პროექტების განხორციელების შესახებ, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე. მისი აღნიშვნით გამოსაცემად მზად არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ამსახველი ვრცელი წიგნი. ასევე, უცხოელი კოლეგების დაინტერესება საბჭოთა საქართველოს კვლევის საქმეში დიდია.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. მისი სამეცნიერო-კვლევითი გეგმა თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის დამსწრე ყველა წევრმა (6 ხმა) დაუჭირა მხარი ბონდო კუპატაძის კანდიდატურას. კონკურსანტის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური საქმიანობა, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა, საერთაშორისო კონტაქტები, დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება საქართველოს ისტორიას დაეხმარება ამავე სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად განხორციელებაში.

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ქეთევან ქუთათელაძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. კონკურსანტ ქეთევან ქუთათელაძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ყველა წევრმა. საკონკურსო კომისიაზე აღინიშნა, რომ ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იკავებდა საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას, შესაბამისად აქვს პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური მუშაობის დიდი სტაჟი. წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ოთხი სასწავლო კურსის სილაბუსი. კონკურსანტის განსახილველად წარმოდგენილი აქვს ნაშრომი, რომელიც 2001 წელს არის გამოცემული. არის რამდენიმე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რეცენზენტი, მაგრამ არ ჰყავს დოქტორანტები, საკონკურსო ანკეტის მიხედვით, ამ კუთხით მას წარმატებული მუშაობის გამოცდილება არა აქვს. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში გამოკვეთილია კონკურსანტის სამეცნიერო აქტივობა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მისი სამეცნიერო საქმიანობა. ასევე, ისტორიულ მეცნიერებაში მისი სამეცნიერო კვლევის თავისებურებები. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ყველა წევრმა. გასაუბრების ეტაპზე ქეთევან ქუთათელაძემ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის მიმდინარე კვლევებზე. გასაკუთრებული ყურადღება დაუთმო თავის საავტორო საგანაზე საუბარს, რომელიც ეხება საქართველოს ისტორიულ საზღვრებს, ასევე კვლევებს ეტომოლოგიაში და „ქართლის ცხოვრების" ტექსტების შესწავლას. კითხვები დაუსვეს აგრძელებს თუ არა მის სტუდენტთაგან რომელიმე ხსენებული საკითხების მეცნიერულ კვლევას დოქტორანტურაში მისივე ხელმძღვანელობით, რაზეც განაცხადა, რომ ამჟამად არავინ.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება, კონკურსანტს თავისივე ანკეტის მიხედვით, თსუ-ში თავისი ხანგრძლივი სტაჟის მიუხედავად აქვს შეზღუდული რაოდენობით სალექციო კურსების წაკითხვის გამოცდილება. წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი სილაბუსი ნაცვლად შემოთავაზებული რვა კურსისა. არ ფიქსირდება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა. ასევე, არ ფიქსირდება არც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა თუ სხვა სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა. კონკურსანტს თავისივე ანკეტის მიხედვით, ფაქტობრივად, არა აქვს დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება. საბოლოოდ, გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად ქეთევან ქუთათელაძის კანდიდატურას მხარი კომისიის არც ერთმა წევრმა დაუჭირა (0 ხმა).

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **დიმიტრი შველიძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ დიმიტრი შველიძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ყველა წევრმა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. აქვს პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. საერთო პედაგოგიური სტაჟი – 33 წელი. შემოთავაზებული აქვს შვიდი სასწავლო კურსი. ყველა მათგანში წარმოდგენილია საავტორო სილაბუსი. ყველა სილაბუსი შეესაბამება პროფილს და შეტანილია თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში. თსუ-ში აქვს მრავალი სალექციო კურსის წაკითხვის ხანგრძლივი გამოცდილება. გააჩნია დიდი რაოდენობით მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო და

ადგილობრივ კონფერენციებში, ასევე რამდენიმე სამეცნიერო გრანტში. შესაფასებლად წარმოდგენილი აქვს ვრცელი მონოგრაფია. აქვს სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის ხანგრძლივი გამოცდილება. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიას. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, დოქტორანტთა ხელმძღვანელი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი, აკადემიური მუშაობის სპეციფიკა, სამეცნიერო მუშაობის თავისებურებები, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა, სახელმძღვანელოების მომზადება და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების გაფართოება. ხანგრძლივი აკადემიური გამოცდილების გათვალისწინებით, სამომავლოდ აქვს პოტენციალი თავისი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ასევე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. აქვს დიდი და ნაყოფიერი გამოცდილება გააგრძელოს სტუდენტებთან მუშაობა და ხელი შეუწყოს დოქტორანტებს მათ სამეცნიერო მუშაობის სწორი მიმართულებით წარმართვაში. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა დოქტორანტმა წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი. გასაუბრების ეტაპზე დიმიტრი შველიძემ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის თავის სამეცნიერო პროექტებზე, სამომავლო მეცნიერული მუშაობის პერსპექტივებსა და გეგმებზე. კომისიის წევრებმა მას დაუსვეს კითხვები და მოისმინეს პასუხები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტებზე, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევაზე, ასევე კითხვები დაისვა სტუდენტთა ჩართულობაზე სამეცნიერო საქმიანობაში.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. მისი სამეცნიერო-კვლევითი გეგმა თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის დამსწრე ყველა წევრმა (6 ხმა) დაუჭირა მხარი დიმიტრი შველიძის კანდიდატურას. კონკურსანტის განათლება, სამეცნიერო ხარისხი,

პედაგოგიური საქმიანობა, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა, საერთაშორისო კონტაქტები, დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება საქართველოს ისტორიას დაეხმარება ამავე სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად განხორციელებაში.

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ნიკოლოზ ჯავახიშვილის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ ნიკოლოზ ჯავახიშვილის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ყველა წევრმა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. აქვს პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი. ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს. მისი სილაბუსები ჩართულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის ხანგრძლივი გამოცდილება. წარმოდგენილი აქვს ექვსი სასწავლო კურსის სილაბუსი, ისინი ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, ასევე, რამდენიმე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი, აკადემიური მუშაობის

სპეციფიკა, სამეცნიერო საქმიანობის თავისებურებები და სამეცნიერო მიმართულებები, ასევე საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგები (ფალერისტიკა, ბონისტიკა, ჰერალდიკა, ვექსილოლოგია და სხვ.), რომელთა განვითარებასა და ჩამოყალიბებას თავად შეუწყო ხელი საქართველოში. ხანგრძლივი აკადემიური გამოცდილების გათვალისწინებით, სამომავლოდ აქვს პოტენციალი თავისი წვლილი შეიტანოს არაერთი ისტორიის დამხმარე დისციპლინის განვითარებაში. ხელს უწყობს ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების საზღვარგარეთ პოპულარიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას. აქვს დიდი და ნაყოფიერი გამოცდილება გააგრძელოს სტუდენტებთან მუშაობა და ხელი შეუწყოს დოქტორანტებს მათ სამეცნიერო მუშაობის სწორი მიმართულებით წარმართვაში. გასაუბრების ეტაპზე ნიკოლოზ ჯავახიშვილმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის კავკასიის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობაზე, მის მონაწილეობაზე გენეალოგიის, ფალერისტიკის, ბონისტიკის, ნუმიზმატიკის, ვექსილოლოგიის და ჰერალდიკის საკითხების კვლევაში. ასევე, საქართველოს ეროვნული გერბის კომისიაში მუშაობის შესახებ. კითხვები დაუსვეს და დაწვრილებითი პასუხები მიიღეს სტუდენტებთან მუშაობის შესახებ სწავლების სამივე საფეხურზე, ასევე საერთაშორისო კავშირებზე, რომელიც მას აქვს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. მისი სამეცნიერო-კვლევითი გეგმა თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის დამსწრე ყველა წევრმა (6 ხმა) დაუჭირა მხარი ნიკოლოზ ჯავახიშვილის კანდიდატურას. კონკურსანტის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური საქმიანობა, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა, საერთაშორისო კონტაქტები, დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება საქართველოს ისტორიას დაეხმარება ამავე სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად განხორციელებაში.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორების („გ" კატეგორია – 1 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას იღებდა ორი კონკურსანტი, მიხეილ ბახტაძე და ნათია ფიფია. მათ შორის ერთი კონკურსანტი, ნათია ფიფია, გასაუბრებაზე არ გამოცხადდა და, შესაბამისად, მოიხსნა კონკურსიდან.

მიხეილ ბახტაძის შეფასება შემდეგია:

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **მიხეილ ბახტაძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ მიხეილ ბახტაძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ყველა წევრმა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. აქვს პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი. აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში შეტანილი სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. სულ 26-წლიანი სტაჟი. წარმოდგენილი აქვს რვა საავტორო სასწავლო კურსის სილაბუსი. ისინი ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. კონკურსანტის პუბლიკაციები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. მიღებული აქვს მონაწილეობა არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში. ასევე, მრავალ საგრანტო პროექტში. შესაფასებლად წარმოდგენილი აქვს ERIH PLUS ბაზაში არსებულ

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, ასევე, რამდენიმე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია სადოქტორო დისერტაცია. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი, აკადემიური მუშაობის სპეციფიკა იმ მიმართულებით, რომელიც სიახლის შემცველია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ხანგრძლივი აკადემიური გამოცდილების გათვალისწინებით, სამომავლოდ აქვს პოტენციალი თავისი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ასევე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. გასაუბრების ეტაპზე მან ისაუბრა თავისი სამეცნიერო მუშაობის სამ ძირითად მიმართულებაზე: ქართველ მეფეთა ტიტულატურის კვლევაზე, ქართულ-პოლონურ ურთიერთობასა და სამხედრო ისტორიის საკითხებზე. კომისიის წევრებმა კითხვები დაუსვეს და ვრცელი პასუხი მოისმინეს ზემოთ ხსენებული პრობლემატიკის ირგვლივ.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. მისი სამეცნიერო-კვლევითი გეგმა თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის დამსწრე ყველა წევრმა (6 ხმა) დაუჭირა მხარი მიხეილ ბახტაძის კანდიდატურას. კონკურსანტის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური საქმიანობა, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა, საერთაშორისო კონტაქტები, დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება საქართველოს ისტორიას დაეხმარება ამავე სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად განხორციელებაში.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების („ა“ კატეგორია – 2 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში 2 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: 1. ზვიად კვიციანი; 2. მარინე ფუთურიძე.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორების („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში 3 საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ: 1. ბონდო კუპატაძე; 2. დიმიტრი შველიძე; 3. ნიკოლოზ ჯავახიშვილი.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („გ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში 1 საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოვლინდა: მიხეილ ბახტაძე.

2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

/ქეთევან ნადირაძე/ კომისიის თავმჯდომარე

/სულხან კუპრაშვილი/ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

/ბეჟან ხორავა/ კომისიის წევრი

/კახა კვაშილავა/ კომისიის წევრი

/ნიკოლოზ მურღულია/ კომისიის წევრი

/ლერი თავაძე/ კომისიის მდივანი

თარიღი: 16 ოქტომბერი, 2025